საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

„ქართული ოცნების“ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობა

„ქართული ოცნების“ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობა

თბილისი
2025

კვლევის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი: მათე ბუბაშვილი

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

1. საგამოძიებო კომისიის არსი და მიზანი

ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას სამ დამოუკიდებელ შტოდ ყოფს, წარმოუდგენელია ურთიერთშეკავებისა და ურთიერთწონასწორობის პრინციპის გარეშე. პარლამენტის მიერ წარმომადგენლობითი ფუნქციის რეალიზება და მისი ნების გამოხატვა კონსტიტუციურად უზრუნველყოფილია, მათ შორის, პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებებით, რომლებიც ორგანულად წარმოადგენს მისი საქმიანობის შეუცვლელ კომპონენტს.[1] საგამოძიებო უფლებამოსილება პარლამენტის ერთ-ერთი ის არსებითი ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას აძლევს მას, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხები დამოუკიდებლად, საკუთარი რესურსებით შეისწავლოს. ეს უფლება მომდინარეობს პარლამენტის კონსტიტუციური მანდატიდან და მის ლეგიტიმაციას ეფუძნება, როგორც ხალხის წარმომადგენლობით ორგანოს. საგამოძიებო პროცედურები კი ემსახურება როგორც პარლამენტის ინფორმირებულობის ამაღლებას, ისე სამთავრობო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებას, რაც გამოიხატება კონკრეტული შემთხვევების გამოკვლევასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებაში.[2] ამრიგად, გამოიყოფა საგამოძიებო უფლებამოსილების განხორციელების 2 ძირითადი მიზანი: 1. მთავრობის საქმიანობის ან/და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხის გამოკვლევა და შესწავლა; და 2. ამ საკითხებზე პარლამენტის თვითინფორმირება და კონკრეტულ საკითხზე კონცენტრაცია.

პარლამენტის საგამოძიებო უფლებამოსილება, რომელიც, როგორც წესი, საგამოძიებო კომისიის ფორმით რეალიზდება, გარკვეულ საგამოძიებო უფლებამოსილებას ანიჭებს პარლამენტს და მას ლიტერატურაში ხშირად კვაზისასამართლოდაც მოიხსენიებენ.[3] თუმცა იგი არ არის სასამართლოს მსგავსი ორგანო და მისი საქმიანობა მკაცრადაა გამიჯნული სასამართლო საქმიანობისგან, როგორც უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმისაგან.[4]

---

[1] ჭიღლაძე ნ. დროებითი საგამოძიებო კომისიის კონსტიტუციური სტატუსი, კრებულში: ქართული სამართლის აქტუალური საკითხები, ნ. ჭიღლაძისა და თ. ნემსწვერიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 40.

[2] Sachs/Magiera, 9. Aufl. 2021, GG Art. 44, Rn. 1.

[3] GG Kommentar, Gröl, Windthorst, von Coelln, 2. Auflage, 2015, S. 516.

[4] იქვე.

საგამოძიებო კომისიის, როგორც კონსტიტუციური პოლიტიკური ორგანოს - პარლამენტის შიდა დროებითი ორგანოს საქმიანობა სამართლებრივთან ერთად აუცილებლად ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს გარკვეული საზღვრები, რომლითაც იგი შეიზღუდება საქმიანობის წარმართვისას. გერმანიის საპარლამენტო გამოძიების უფლება შეზღუდულია თვითონ პარლამენტის კონსტიტუციური კომპეტენციით.[5] კერძოდ, საგამოძიებო კომისია შეზღუდულია: 1. ფედერაციული კომპეტენციით, სადაც ერთმანეთისგან იმიჯნება ფედერაციის და ფედერაციული ერთეულების (მიწებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის) კონსტიტუციური უფლებამოსილებები; 2. ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და საყოველთაო უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საზღვრებით, რომელთა მიხედვით საპარლამენტო გამოძიების უფლება ვერ შევა აღმასრულებელი ხელისუფლების ისეთი საქმიანობის სფეროში, რომელიც მისი ექსკლუზიური უფლებაა და ვერ გადალახავს იმ საზღვრებს, რომლებმაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას საყოველთაო მშვიდობასა და კეთილდღეობას; და ბოლოს, 3. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების საზღვრით. ნათელია, რომ საგამოძიებო კომისიის საქმიანობა არ უნდა ჩაერიოს უხეშად და გაუმართლებლად ადამიანის ამა თუ იმ უფლებით დაცულ სფეროში.[6] გამომდინარე საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფო მოწყობის განსხვავებიდან, პირველი პუნქტი - კომპეტენციური ფარგლები საქართველოსთვის ნაკლებ რელევანტურია, თუმცა საყურადღებოა დანარჩენი ორი პუნქტის პრობლემურობა ქართულ კონტექსტში, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ დონეზე.

[5] Sachs/Magiera, 9. Aufl. 2021, GG Art. 44, Rn. 10.

[6] იქვე.

2. პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა

საგამოძიებო კომისიის, როგორც პარლამენტის საზედამხედველო მექანიზმის შექმნით, როგორც წესი, დაინტერესებულია საპარლამენტო უმცირესობა, ოპოზიცია. თუმცა საგამოძიებო კომისია შეიძლება შეიქმნას საპარლამენტო უმრავლესობის მიერაც. გამოძიების უფლება პარლამენტის, როგორც საკანონმდებლო ორგანოს უფლებაა, განურჩევლად უმრავლესობისა თუ უმცირესობისა, მაგრამ რეალურად ეს მექანიზმი უმცირესობების ხელში იძენს თავის უმთავრეს შინაარსს - იყოს სამთავრობო მაკონტროლებელი.

მართალია, შედეგობრივად უმრავლესობა/უმცირესობის საგამოძიებო კომისია არსებითად არ განსხვავდება, თუმცა გერმანული ლიტერატურა მაინც განასხვავებს ამ ორ ტიპს. უმცირესობის საგამოძიებო ინიციატივა გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც ინიციატივას დეპუტატთა დადგენილი რაოდენობა აყენებს და ეს დეპუტატები საპარლამენტო უმრავლესობას არ მიეკუთვნებიან.[7] მნიშვნელობა არ აქვს, ეს ინიციატორები იქნებიან ერთი და იმავე თუ სხვადასხვა ფრაქციიდან. უმრავლესობის ინიციატივის განმარტება საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, გავრცელებული მოსაზრებით, იგი გულისხმობს ისეთ ინიციატივას, რომელიც წარმოდგენილია ან საპარლამენტო უმრავლესობის მიერ, ან დეპუტატთა ნახევარზე მეტი უმრავლესობით.[8] მართალია, საგამოძიებო კომისიის შექმნა არაოფიციალურად უმცირესობის პრეროგატივაა, თუმცა ამით შეიძლება ისარგებლონ უმრავლესობის წარმომადგენლებმაც.[9] ორივე სახის ინიციატივით შექმნილ კომისიაზე მოქმედებს აბსოლუტურად ერთი და იგივე წესები და შეზღუდვები, და ეს განსხვავებაც მხოლოდ ტრადიციულ-სემანტიკურია.[10] ამასთანავე, მაგალითად, გერმანიაში კომისიის შექმნის გადაწყვეტილება, რომელიც პარლამენტის დადგენილებად გამოიცემა, უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის მოთხოვნას, კერძოდ, ნათელი უნდა იყოს, თუ ვინ არიან ინიციატორები, რა საკითხს იკვლევენ, ვინ არიან წევრები და ა.შ.[11] ამისათვის მნიშვნელოვანია პროცედურული წესების დაცვა და საჭირო ინფორმაციის წარმოდგენა. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტიც ადგენს საგამოძიებო

[7] BeckOK GG/Brocker, 50. Ed. 15.2.2022, GG Art. 44, Rn. 22-24.
[8] იქვე.
[9] იქვე.
[10] იქვე.
[11] v. Münch/Kunig/Groh, 7. Aufl. 2021, GG Art. 44, Rn. 46, 47.

კომისიის შექმნის დასაბუთების საჭიროებას.[12] ფაქტობრივად, ეს ითვალისწინებს განმარტებითი ბარათის არსებობას, რომელიც სრულად უპასუხებს განსაზღვრულობის პრინციპისა და დასაბუთებულობის სტანდარტის დაცვას. აღსანიშნავია, რომ სრულფასოვანი განმარტებითი ბარათის არსებობა არა მხოლოდ შინაარსობრივ-მატერიალური, არამედ პროცედურული მოთხოვნაცაა.

საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივით საგამოძიებო კომისიის შექმნის მაგალითია გერმანიის ფედერალურ პარლამენტში („ბუნდესტაგის“) 2015 წელს შექმნილი საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლიდა „ნაციონალ-სოციალისტური მიწისქვეშა დაჯგუფების“[13] მიერ ჩადენილ სხვადასხვა ტერორისტულ დანაშაულს. ამ შემთხვევაში კომისიის შექმნის ინიციატორები იყვნენ, მათ შორის, უმრავლესობაში მყოფი ფრაქციებიც. ეს, ერთი შეხედვით, შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს საგამოძიებო უფლების საზედამხედველო ხასიათს. თუმცა უმრავლესობის ინიციატივით საგამოძიებო კომისიის შექმნის ლოგიკა გამართლებულია თვითონ გამოძიების საკითხით, კერძოდ, იგი ეხებოდა ტერორისტული დაჯგუფების დანაშაულების შეფასებას და არა უშუალოდ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლს. აქვე, აღსანიშნავია, რომ გერმანიის კანონმდებლობა ქართულისაგან განსხვავებით, არ ზღუდავს პარლამენტს გამოძიების საკითხის არჩევაში.[14]

ქართულ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივის უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტს, ფრაქციას, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს.[15] საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს.[16] შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, საგამოძიებო კომისია შეძლება შეიქმნას როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე ოპოზიციის მიერ.

---

[12] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 62-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[13] გერმ. „Nationalsozialistischer Untergrund“.
[14] კერძოდ, გერმანიის კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუ რა საკითხებზე უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია.
[15] საქართველოს კონსტიტუციის 42-ე და პარლამენტის რეგლამენტის 61-ე მუხლი.
[16] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

3. 2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია

2025 წლის 29 იანვარს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა ინიციატივა „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის“ შექმნის შესახებ.[17] მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის მექანიზმი, უფრო მეტად საპარლამენტო უმცირესობის უფლებად განიხილება,[18] ამჯერად კომისიის შექმნის ინიციატივით თვითაღიარებულ პარლამენტში გამოვიდა საპარლამენტო უმრავლესობა ფრაქცია „ქართული ოცნების“ სახით.

პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს.[19] განმარტებითი ბარათის მიხედვით, საგამოძიებო კომისიის მიზანი და, შესაბამისად, გამოსაკვლევი თემა 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების შეფასება და მათი გადაწყვეტილებების სამართლებრივ ჭრილში მოქცევა იყო.[20]

საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე კენჭისყრა გაიმართა 2025 წლის 5 თებერვალს, სადაც პარლამენტმა 83 ხმით საკითხი დადებითად გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ ინიციატორმა „ქართული ოცნების“ პარლამენტს წარუდგინა საჭირო დოკუმენტაცია - მიმა-

[17] ფრაქცია „ქართული ოცნების“ წერილი №07-3/23 საქართველოს პარლამენტის ბიუროს.
[18] გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭიღლაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 314.
[19] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[20] განმარტებითი ბარათი „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის თაობაზე.

რთვა, დადგენილების პროექტი და განმარტებითი ბარათი, ეს უკანასკნელი არ იძლეოდა სრულ ინფორმაციას იმაზე, თუ კონკრეტულად რა უნდა გამოეძიებინა კომისიას და რატომ შეირჩა მხოლოდ ეს საკითხები, ასევე, ვინ გამოიკითხებოდა და რა დოკუმენტაციას გამოიძიებდნენ სხდომებზე. განმარტებითი ბარათი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი ინფორმაციით 2003-2012 წლების რეჟიმის შესახებ და ზედმეტად ზოგადად ხსნიდა, თუ რა საკითხი და რატომ უნდა განეხილათ. აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო კომისიას უნდა განეხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია, მათ შორის, პირების სამართლებრივ თუ პოლიტიკურ პასუხისმგებლობასთან, ამიტომ, აუცილებელი იყო, საგამოძიებო კომისიის ინიციატორებს სრულად და ამომწურავად დაესაბუთებინათ საგამოძიებო კომისიის არა მხოლოდ შექმნის მიზანი და საჭიროება, არამედ საქმიანობის მიმდინარეობის პროცესიც.

ამასთანავე, განმარტებითი ბარათი საუბრობდა არა მხოლოდ წარსულში ჩადენილ დანაშაულებზე, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახის მიმდინარე და მოსალოდნელ საფრთხეებზე. ამის მიუხედავად, კომისიის შექმნის ინიციატორებმა ვერც კონკრეტულად არსებული საფრთხეები დაასაბუთეს და ვერც ის, თუ რა სახით უკავშირდება ეს საფრთხეები 2003-2012 წლებში ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებებს. განმარტებით ბარათში ასევე იყო ნახსენები „რადიკალური ოპოზიცია“, როგორც კოლექტიური ტერმინი, თუმცა რომელი არსებული პოლიტიკური პარტია იგულისხმებოდა კონკრეტულად მასში, უცნობია.[21] იქვე აღინიშნა, რომ „რადიკალური ოპოზიცია“ 2003 წლიდან დღემდე „ღიად უპირისპირდებ[ოდ]ა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და გადამწყვეტ დაბრკოლებას უქმნი[და] საქართველოში ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას“.[22] თუმცა წარმოდგენილი ინფორმაციით უცნობია, რა მყისიერი საფრთხის წინაშე დგას დღეს ქვეყანა და რამდენად იკვეთებოდა 2003-2012 წლებში თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა მათ რეალიზაციაში. შესაბამისად, ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა მხოლოდ ფორმალურ-პოპულისტური ხასიათისაა და პოლიტიკური მეტოქეების, ერთი კონკრეტული თუ მისი მონათესავე პარტიების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური იარაღია. მართალია, საგამოძიებო კომისია, როგორც პარლამენტის

[21] იქვე.
[22] იქვე.

დროებითი ორგანო, თავისთავად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და მას არ აქვს ისეთი მაღალი სამართლებრივი მტკიცების სტანდარტი, როგორიც ორდინალურ საგამოძიებო უწყებებს, თუმცა მას, როგორც ხალხისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სახელმწიფო ორგანოს, აქვს დასაბუთების სტანდარტი, მინიმუმ იქიდან გამომდინარე, რომ მისი დასკვნა, შესაძლოა, საფუძვლად დაედოს კონკრეტულ პირთა თუ პარტიათა სამართლებრივ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, შესაძლოა, ითქვას, რომ „ქართული ოცნების“ საგამოძიებო კომისიის შექმნის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცედურული მოთხოვნა დარღვეულია.

სწორედ კომისიის შექმნის საჭიროების დასაბუთების სიმწირიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ კომისიის საქმიანობის მიზანი სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის რეალური გამოძიება კი არა, კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მარგინალიზაცია და მათი აკრძალვისთვის შესაბამისი სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძვლის მომზადებაა. ეს ყოველივე კი, იმის ფონზე, რომ საგამოძიებო კომისიის საქმიანობა გამორიცხულია მიმართული იყოს კონკრეტული პოლიტიკური პარტი(ებ)ის წინააღმდეგ ან მათი აკრძალვისკენ.[23]

საბოლოო ჯამში, თვითგამოცხადებული პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 2025 წლის 7 თებერვალს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით დადგინდა კომისიაში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები. ფორმალურად, კომისიის 10 წევრიდან 5 არის უმრავლესობიდან, 2-2 - „ხალხის ძალიდან“ და უფრაქციო დეპუტატებიდან (კერძოდ, პარტიიდან „გახარია საქართველოსთვის“, რომელმაც პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა), ხოლო 1 წევრი „ევროპელი სოციალისტებიდან“.[24] გამომდინარე იქიდან, რომ პარტია „გა-

[23] v. Münch/Kunig/Groh, 7. Aufl. 2021, GG Art. 44, Rn. 22-28.

[24] კომისიის წევრები არიან: ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“: თეა წულუკიანი (თავმჯდომარე), ალექსანდრე ტაბატაძე, თენგიზ შარმანაშვილი, ალუდა ღუდუშაური, პაატა სალია (შემდგომ ირაკლი ქადაგიშვილი), პოლიტიკური ჯგუფი „ხალხის ძალიდან“: სოზარ სუბარი (მდივანი), გურამ მაჭარაშვილი, პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები“: ილია ინჯია. იხ. საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაში“ წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“.

ხარია საქართველოსთვის“ ამ ეტაპზე პარლამენტში არ შესულა, მას კომისიაში წევრებიც არ დაუნიშნავს. რეალურად კომისიის ყველა მოქმედი წევრი ერთ პოლიტიკურ ძალას მიეკუთვნება, რადგან ფრაქცია „ხალხის ძალისა“ და საპარლამენტო ჯგუფის - „ევროპელი სოციალისტების“ წევრები „ქართული ოცნების“ პარტიული სიით შევიდნენ პარლამენტში. შესაბამისად, კვოტების გადანაწილებაც და კომისიის დაკომპლექტებაც მხოლოდ ფორმალურად ქმნის ორგანოში პოლიტიკური მრავალფეროვნების ელფერს.

შემადგენლობის დამტკიცებიდან 5 დღეში, 13 თებერვალს, გაიმართა კომისიის პირველი სხდომა, სადაც აირჩიეს კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და შეადგინეს დებულების პროექტი.[25]

[25] საქართველოს პარლამენტის 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ წარმოდგენილი დროებითი საგამოძიებო კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომის ოქმი №1.

4. საგამოძიებო კომისიის საქმიანობის მიმდინარეობა „ქართული ოცნების“ პარლამენტში

საგამოძიებო კომისიის საქმიანობა ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს, რომლებიც ზღუდავს როგორც კომისიას, ისე მასში მონაწილე პირებს. კერძოდ, ეს პრინციპებია: საჯაროობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი, ავტონომიურობისა და დემოკრატიული უმრავლესობის პრინციპი.[26] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი დეტალურად განსაზღვრავს საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილებებს, რაც უზრუნველყოფს მისთვის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების მინიჭებას. კომისიას უფლება აქვს, გამოკითხვაზე დაიბაროს ნებისმიერი პირი, ხოლო მათთვის სხდომაზე გამოცხადება სავალდებულოა.[27] გარდა ამისა, კომისიას შეუძლია მოითხოვოს სხვადასხვა სახის ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებისაგან, მათ შორის, საიდუმლო მონაცემები, ასევე დაავალოს შესაბამის ორგანოებს დასკვნებისა და ანგარიშების მომზადება, რომლის შესრულებაც სავალდებულო ხასიათისაა.[28]

საინტერესოა, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მიხედვით, საგამოძიებო კომისიების საქმიანობა ეფუძნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს, რაც წარმოადგენს მათი მოქმედების არსებით საფუძველს.[29] აღნიშნული კანონმდებლობის გამოყენება განიხილება ერთ-ერთ მთავარ პირობად გერმანული საგამოძიებო კომისიების ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული მუშაობისთვის. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების საგამოძიებო კომისიების საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპებად დამკვიდრების საკითხი 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში განხილვის საგანი გახდა საქართველოშიც.[30] ეს ინიციატივა წამოაყენა გერმანელმა ექსპერტმა ალექსანდერ ბლანკენაგელმა,[31] თუმცა ქართველმა კანონმდებელმა ამას მხარი არ დაუჭირა.[32]

---

[26] BeckOK GG/Brocker, 50. Ed. 15.2.2022, GG Art. 44, Rn. 36-42.

[27] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-7 თავი.

[28] გეგენავა დ. პაპაშვილი თ. ვარდოსანიძე ქ. გორაძე გ. ბრეგაძე რ. თევზაძე თ. ცანავა ლ. ჯავახიშვილი პ. მაჭარაძე ზ. სიორიძე გ. ლოლაძე ბ. „შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში“, თბილისი, 2019, 160.

[29] გერმანიის ძირითადი კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[30] ჭიღლაძე ნ. დროებითი საგამოძიებო კომისიის კონსტიტუციური სტატუსი, კრებულში: ქართული სამართლის აქტუალური საკითხები, ნ. ჭიღლაძისა და თ. ნემსწვერიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 56.

[31] ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორი.

[32] იქვე.

საქართველოს პარლამენტის მოქმედმა საგამოძიებო კომისიამ 13 თებერვლიდან 19 მაისის ჩათვლით, ჩაატარა კომისიის 25 სხდომა, სადაც გამოიკითხა 77 პირი.[33] გარდა ამისა, კომისიამ ითანამშრომლა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, როგორიცაა პარლამენტის ადმინისტრაცია, საქართველოს გენერალური პროკურატურა, ასევე ფოტო-ვიდეო არქივის მოსაპოვებლად ტელეკომპანიებთან „იმედი", „რუსთავი 2", „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი" და საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება".[34]

1-ელ აპრილს პარლამენტმა კომისიას გამოძიების ფარგლები 2012 წლის ნაცვლად, დღემდე, 2025 წლამდე გაუზარდა.[35] შესაბამისად, კომისია აღარ იყო შეზღუდული მხოლოდ 2003-2012 წლებში თანამდებობის მიერ ჩადენილი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების განხილვით და იგი გამოიძიებდა დღემდე, ანუ 2012 წლის შემდგომ „პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობას".[36] აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც საგამოძიებო კომისიის შექმნას სჭირდება შესაბამისი დასაბუთება, ასევე აუცილებელია მის საქმიანობაში, მანდატსა და უფლებამოსილებებში ცვლილებების დასაბუთება, რაც კომისიას არ გაუკეთებია. ამ შემთხვევაში საგამოძიებო კომისია იხილავდა 2003-2012 წლებში არსებული რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებს და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს. რაც, თავისთავად ცხადია, გულისხმობს, რომ კომისია იძიებდა სახელმწიფო თანამდებობის პირების უკანონო ქმედებებს, რომლის მანდატიც პარლამენტს აქვს,

[33] „2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შუალედური ანგარიში (2025 წლის 13 თებერვალი - 2025 წლის 28 აპრილი)", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 28 აპრილი, ასევე იხ. პარლამენტის შესაბამისი სტატიები: https://www.parliament.ge/parliament/commissions/65528/deputies.

[34] იქვე.

[35] „პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ დადგენილებაში ცვლილება განხორციელდა", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 1-ლი აპრილი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/parlamentis-droebiti-sagamodziebo-komisiis-shesakheb-dadgenilebashi-tsvlileba-gankhortsielda?fbclid=IwY2xjawJ_6JZleHRuA2FlbQIxMABicmlkETFicjlIZFhUT05yUkU1VkZ2AR7JvVh5z2AXaU_61zwGSGFLpWnxWwbR0ippb4KAQfgQ--HgCjDfe2hjxc3t3g_aem_6-3FfzsSoTTHIVng2V4PLg, განახლებულია: 01.05.2025.

[36] იქვე.

მიუხედავად იმისა, რომ „განსახილველი უკანონო და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები“ ფაქტობრივად ერთ პოლიტიკურ ძალას - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მიემართებოდა. საკამათოა, საპარლამენტო კომისიას აქვს თუ არა პარტიის წარმომადგენლების იმ ქმედებების შეფასების უფლებამოსილება, რომელთა დროსაც მათ აღარ ჰქონდათ დაკავებული სახელმწიფო თანამდებობები და არც გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტები ყოფილან. აღსანიშნავია, რომ აქამდე ჩატარებული 25 სხდომიდან 24-ზე, კომისიამ განიხილა 2003-2012 წლებში, მაშინდელი სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ განხორციელებული ქმედებები, და მხოლოდ ერთ სხდომაზე - ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას თანამდებობაზე ყოფნის დროს მომხდარი სხვადასხვა ფაქტი.[37]

ჯერჯერობით უცნობია, შეეხება თუ არა კომისიის განსახილველი საკითხები 2012-2025 წლებში ყოფილი თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ ქმედებებს. თუმცა, ამ მოცემულობით უკვე საკამათოა კომისიის უფლებამოსილების ფარგლების 2025 წლამდე გაზრდის საჭიროება მაშინ, როდესაც კომისიის შექმნის მიზანი 2003-2012 წლებში ხელისუფლებაში მყოფი პირების ქმედებების შეფასება იყო, რაც კომისიის დასაბუთებიდან არ იკვეთება. აღსანიშნავია, რომ დაუშვებელია საგამოძიებო კომისიის საქმიანობა მიმართული იყოს პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ და მისი მიზანი იყოს მისი შეზღუდვა. შესაბამისად, საგამოძიებო კომისიამ მკაფიო ზღვარი უნდა გაავლოს სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ ქმედებებსა და პარტიების პოლიტიკური საქმიანობის შეფასებას შორის. მთელი ეს პროცესი კი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საგამოძიებო კომისიის საქმიანობის რეალური მიზანი თავიდანვე პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია და მათი დამნაშავეებად გამოცხადება იყო. მით უფრო მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების“ ლიდერები ერთმანეთს უკავშირებდნენ კონკრეტული პოლიტიკური პარტიების აკრძალვას, მას შემდეგ, რაც საგამოძიებო კომისია მათ დანაშაულებს გამოააშკარავებდა.[38] „ქართული ოცნების“ ლიდერების თქმით, საგა-

[37] „დროებითმა საგამოძიებო კომისიამ გიორგი გახარია გამოჰკითხა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 1-ლი აპრილი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/droebitma-sagamodziebo-komisiam-giorgi-gakharia-gamokitkha, განახლებულია: 01.05.2025.

[38] „ქართული ოცნების“ მიერ დაინიციირებული კანონპროექტი ნაციონალური მოძრაობის „მემკვიდრე პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადებას“ ითვალისწინებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2025 წლის 28 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/672285, განახლებულია: 06.05.2025.

მოძიებო კომისიის საბოლოო დასკვნა შექმნის „მყარ საფუძველს“, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი სატელიტი პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადების თაობაზე.[39] აშკარაა, რომ „ქართული ოცნების“ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის საქმიანობა და საბოლოო დასკვნა ემსახურება პოლიტიკური პარტიის აკრძალვისთვის შესაბამისი ნიადაგის შექმნას, რაც არსებითად დაუშვებელია. საგამოძიებო კომისიის დასკვნა უნდა შეეხებოდეს პარტიის წარმომადგენლების თანამდებობაზე ყოფნის დროს ჩადენილ ქმედებებს. ხოლო დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში კომისიას შეუძლია მიმართოს საგამოძიებო ორგანოებს და არ გამოიყენოს იგი პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის. რაც შეეხება პარტიის გაუქმებას, იგი სხვა პროცედურას მოიცავს და დასაბუთების უფრო მაღალი სტანდარტი აქვს.[40]

ამასთანავე, პრობლემურია საგამოძიებო კომისიის საქმიანობის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის საკითხი. მართალია, საგამოძიებო კომისიის საქმიანობა პოლიტიკური პროცესია, თუმცა იგი მაინც მოიცავს გარკვეული საკითხის გამოძიებას, რომელიც მომავალში შეიძლება საფუძვლად დაედოს პირების სამართლებრივ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა მნიშვნელოვანი პრინციპებია, რაც გულისხმობს პროცესში ჩართული ყველა მხარის მოსმენას, მიკერძოებისა და ტენდენციურობისგან თავის არიდებას და პოლიტიკური ინტერესების მინიმუმამდე დაყვანას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საგამოძიებო კომისიის საქმიანობისას წამოიჭრა, არის კომისიის სხდომაზე დაბარებულთა გამოუცხადებლობა. დაბარებული პირები, მათ შორის, ოპოზიციური პარტიების ლიდერები, მოთხოვნის მიუხედავად, არ გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე და არ ჩააბარეს ახსნა-განმარტებები. ამის საპასუხოდ, კომისიამ, ამ პირების გამოუცხადებლობის შესახებ ინფორმაცია გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.[41] საქართვე-

[39] იქვე.

[40] კერძოდ, აქ უნდა დასაბუთდეს, რატომ წარმოადგენს პარტია, როგორც ორგანიზაცია, საფრთხეს დემოკრატიული წესრიგისათვის და რომ მისი მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება. იხ. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლი.

[41] სულ 8 პირი: ბადრი ჯაფარიძე, მამუკა ხაზარაძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ნიკა გვარამია,

ლოს სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნათა შეუსრულებლობას და აწესებს შესაბამის სანქციას - ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ვადით სამ წლამდე.[42] აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო სანქციას - შრომის ანაზღაურების ორმოცდაათი მინიმალური ოდენობით დაჯარიმებას - ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიც.[43] ამ შემთხვევაში იკვეთება განჭვრეტადობის პრობლემა კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქციის და პასუხისმგებლობის სახის დადგენის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ ქართველი პოლიტიკოსების ნაწილი იმყოფება პოლიტიკური ბოიკოტის რეჟიმში და არ აღიარებს ამ პარლამენტის ლეგიტიმაციას.[44] შესაბამისად, მოსალოდნელიც იყო, რომ პოლიტიკური ფიგურები არ დაესწრებოდნენ თვითგამოცხადებული პარლამენტის მიერ შექმნილი საგამოძიებო კომისიის სხდომებს, მით უმეტეს, როდესაც კომისიის მიზანი საკითხის ობიექტური გამოძიების ნაცვლად, ოპოზიციური პარტიების დისკრედიტაცია და მათი აკრძალვის მცდელობაა.

ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, გიორგი ვაშაძე, ნიკანორ მელია, გიორგი (გივი) თარგამაძე.

[42] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 349-ე მუხლი.

[43] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173^3.

[44] „ოპოზიციური პარტიები ახალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 28 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33176573.html, განახლებულია: 01.05.2025.

5. დასკვნის მაგიერ

საგამოძიებო კომისია, როგორც თვითგამოცხადებული პარლამენტის საზედამხედველო ინსტრუმენტი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია პარლამენტის და მასში არსებული პოლიტიკური ჯგუფების ხელში. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის შინაარსს პოლიტიკური უმცირესობების ხელში იძენს, შეიძლება საპარლამენტო უმრავლესობამაც დააინიციიროს. თუმცა, როგორც უმცირესობის, ისე უმრავლესობის ვალდებულებაა, დაასაბუთოს კომისიის შექმნის მიზანი და საჭიროება. არალეგიტიმურ პარლამენტში დღეს მოქმედმა „ქართული ოცნების“ საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატორებმა არ დაიცვეს ეს მნიშვნელოვანი პროცედურული წესი და მათ განმარტებით ბარათში სათანადოდ ვერ დაასაბუთეს, თუ რატომ უნდა შექმნილიყო ეს კომისია და კონკრეტულად რა ქმედებები უნდა შეეფასებინა. ამასთანავე, უნდა წარმოედგინათ სრული ინფორმაცია კომისიის საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ, უნდა დაესაბუთებინათ ის, თუ რატომ გახდა მხოლოდ ახლა შესაძლებელი იმ კომისიის შექმნა, რომელსაც 2003-2012 წლებში არსებული შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებები უნდა გამოეძიებინა. გარდა ამისა, სათანადოდ არ იყო დასაბუთებული კომისიის მოქმედების ფარგლების ცვლილება და არა 2012 წლამდე, არამედ დღემდე მიმდინარე პროცესების გამოძიების საჭიროება. ეს ცვლილები, დაუსაბუთებლად, ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ საგამოძიებო კომისიის საქმიანობა მიმართულია ერთი კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის წინააღმდეგ და არა 2003-2012 წლებში სახელმწიფო თანამდებობის პირების ქმედებების ჭეშმარიტად გამოძიებისკენ.